სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია

1. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ შეიძლება გაიცეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიულ პირზე.

2. ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სალიცენზიო პირობების გარდა, შეასრულოს დამატებითი სალიცენზიო პირობები და „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს“ წარუდგინოს:

ა) წერილობითი განცხადება სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მოთხოვნის შესახებ;

ბ) სადამფუძნებლო დოკუმენტები (მათ შორის, წესდება);

გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

დ) ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეესტრიდან ამონაწერი აქციონერთა აქციების განაწილების შესახებ;

ე) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის დამფუძნებლების მიერ ფულადი ფორმით სრულად შევსების შესახებ;

ვ) საქართველოში ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების/დაწესებულებების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი/დოკუმენტები სამსახურის მიერ განსაზღვრული მინიმალური ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე/ანგარიშებზე განთავსების შესახებ;

ზ) მნიშვნელოვანი წილის როგორც უშუალო, ისე ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია. მნიშვნელოვანი წილის მფლობელის ბენეფიციარი მესაკუთრის არარსებობის შემთხვევაში აუცილებელია ლიცენზიის მაძიებელმა აღნიშნული ფაქტი წერილობით დაადასტუროს;

თ) ყველა ადმინისტრატორის საიდენტიფიკაციო დოკუმენტაცია;

ი) შესაბამისი წესით დამოწმებული დოკუმენტაცია ან/და ინფორმაცია (მათ შორის, ავტობიოგრაფია) მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერებისა და ყველა ადმინისტრატორის „დაზრვევის შესახებ“ საქართველოს კანონით (მუხლი 22^1) დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ;

კ) ინფორმაცია კაპიტალის წარმოშობის შესახებ;

ლ) სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო 3 წლის ბიზნესგეგმა (გადაზღვევის პროგრამის ჩათვლით) სამსახურის მიერ დამტკიცებული ბიზნესგეგმის ძირითადი მონაცემებისა და ფორმის შესაბამისად;

მ) ინფორმაცია მზღვეველის სათავო ოფისის ადგილსამყოფლის შესახებ, ხოლო ფილიალის/ფილიალების არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე მათი ადგილსამყოფლის შესახებ;

ნ) იმ უძრავი ქონების საკუთრების ან სხვაგვარად კანონიერად ფლობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტი, სადაც განთავსდება მზღვეველის სათავო ოფისი/ფილიალი;

ო) ინფორმაცია მზღვეველის ორგანიზაციული სტრუქტურის, სტრუქტურული ერთეულებისა და მათი ფუნქციების, აგრეთვე აუდიტის კომიტეტის შესახებ;

პ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგინოს დედნების ან მათი სათანადო წესით დამოწმებული ასლების სახით.

„სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიისთვის დადგენილი სალიცენზიო მოსაკრებელი განსაზღვრულია 500 ლარის ოდენობით.

ნორმატიული აქტები

- ✓ „საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ https://matsne.gov.ge/document/view/26824?publication=111
- ✓ საქართველოს კანონი "დაზღვევის შესახებ" https://matsne.gov.ge/document/view/29884?publication=35
- ✓ სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 25 დეკემბრის N 27 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესი“ https://matsne.gov.ge/ka/document/view/3951321?publication=1
- ✓ „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონი https://matsne.gov.ge/document/view/12880?publication=86